საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2719/01
22/03/2021

2719-01-2-202103221545

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი. ი. ჭავჭავაძის გამზ. N34
ელ.ფოსტა: official@gulf-ge.com

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 5 მარტის განცხადება (წერილი N3935), რომელიც ეხება ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში 21500 მ^3 ტევადობის ნავთობბაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ 2008 წლის 24 აპრილს სამინისტროს მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „ეკო ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის განთავსებაზე (4200 მ^3 ტევადობის, 25000 ტ წლიური ტვირთბრუნვით, ნავთობბაზა) გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №21 და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ამასთან, გაცნობებთ, რომ შპს „ეკო ჯორჯიას“ სამინისტროსთვის არ მოუმართავს აღნიშნული ნებართვის შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე“ გადაცემის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროში არსებული ინფორმაციით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე კომპანიას წარმოადგენს შპს „ეკო ჯორჯია“ და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე“გადაწყვეტილების გადაცემა კანონით დადგენილი წესით არ მომხდარა.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-15 მუხლის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის არსს, განსაზღვრულ პირობებს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა გულისხმობს როგორც უფლებების, ისე შესაბამისი მოვალეობების გადაცემას.

ამასთან გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებული იყო 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოეთხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. შპს „ეკო ჯორჯიას“ არ მოუმართავს სამინისტროსთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

აღნიშნული საკითხების დაზუსტებამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს წარმოდგენილი სკოპინგის განცხადება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე